



შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

პროფესიული უნარების ტესტი წამყვანი და მენტორი მასწავლებლობის მსურველთათვის

დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითი პასუხიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 32 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე და ა. შ. გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასოები - a, b...

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 1

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ხუთ საგანმანათლებლო პრინციპს.

ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერა შეესაბამება ამ პრინციპებიდან ერთ-ერთს: „სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას“?

- I. სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს ეხმარება სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებასა და ცოდნის დაგროვებაში.
- II. სწავლა-სწავლების დროს მოსწავლე შემოქმედებით პროცესშია ჩართული, თავად აგებს ცოდნას და არ არის პასიური მსმენელის როლში.
- III. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე ახალ ცოდნას აფუძნებს ძველზე. მას ახალი მასალა არ მიეწოდება ერთბაშად და მოუმზადებლად.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 2

გაკვეთილზე დასწრების შემდეგ წამყვანმა მასწავლებელმა კოლეგას ურჩია, სასწავლო პრაქტიკაში დიფერენცირებული სწავლების მიდგომები გამოეყენებინა, რაც მისთვის გაუგებარი აღმოჩნდა. როგორ განუმარტავთ კოლეგას ტერმინის შინაარსს?

დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს:

- ა) სწავლების ტემპის, სირთულის ან მეთოდის ცვლას თითოეული მოსწავლის საჭიროების, სწავლის სტილის ან ინტერესების მიხედვით.
- ბ) სასწავლო კურიკულუმების შექმნას მოსწავლეთა ჰუმანიტარული, ტექნიკური ან საბუნებისმეტყველო მიდრეკილებების მიხედვით.
- გ) სასწავლო პროცესში კლასის გადანაწილებას კონკრეტულ საგანში ძლიერი და სუსტი მოსწავლეების მიხედვით.
- დ) სწავლების მიზნის ცვლილებას თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ცოდნის დონის მიხედვით.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 3

ჩამოთვლილთაგან რომელი დავალება უწყობს ხელს მოსწავლეებში კრეატიული აზროვნების განვითარებას?

- ა) მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა სხვადასხვა ამოცანა და დაავალა მათი ამოხსნის დროს გამოეყენებინათ კლასში ახლად ახსნილი ფორმულა.
- ბ) მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, რომ წიგნის სხვადასხვა გვერდზე შემთხვევით ამოკითხული სიტყვები ერთმანეთისათვის დაეკავშირებინათ.
- გ) მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, ერთმანეთისათვის შეეძარებინათ ორი სხვადასხვა მწარმოებლის ფასები რძის პროდუქტებზე და მოეყვანათ არგუმენტები მათ შორის ყველაზე მისაღების მხარდასაჭერად.
- დ) მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, გამოეთვალათ, რამდენი მანქანა იქნებოდა საჭირო 70 ტონა ცემენტის მშენებლობაზე მისატანად, თუ ერთი ტომარა ცემენტი იწონის 25 კგ-ს და მანქანაზე ეტევა 1000 ცალი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 4

სასწავლო პროცესში ჩართულობასა და მოტივაციის ზრდას ხელს უწყობს გარემო, სადაც მოსწავლეები თავს გრძნობენ სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად. პასუხისმგებლობის დელეგირება სწორედ ამგვარი გარემოს შექმნის ერთ-ერთი წინაპირობაა.

რომელია მოსწავლეებზე პასუხისმგებლობის ყველაზე მაღალი ხარისხით დელეგირების მაგალითი?

- ა) მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს ურიგებს უცნობი ტექსტის ნაწილებს. ჯგუფებს ევალებათ ერთმანეთში ინფორმაციის გაცვლა და ტექსტის ერთიანობის აღდგენა.
- ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს ეკოლოგიის თემაზე აძლევს საინფორმაციო ტექსტს, ისინი ამზადებენ შეკითხვებს და მასწავლებელთან ამოწმებენ, რამდენად კარგად გაიგეს წაკითხული.
- გ) მასწავლებელი მოსწავლეებს საკითხის შესწავლის შემდეგ სთავაზობს სხვადასხვა ამოცანას და საშუალებას აძლევს, თავად ამოირჩიონ ერთ-ერთი, მათთვის ყველაზე მეტად საინტერესო.
- დ) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საკითხთა ჩამონათვალს, ისინი ირჩევენ მათ შორის ყველაზე პრობლემურსა და აქტუალურს, შემდეგ ახორციელებენ ამ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ ჯგუფურ პროექტს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარებული სამოქმედო კვლევის მიზანშეწონილობას განსაზღვრავს:

- ა) საკვლევი აუდიტორიისათვის მისი აქტუალურობა და საჭიროება.
- ბ) კვლევის მეცნიერულ მეთოდებთან სრული შესაბამისობა.
- გ) მისი შედეგების ფართოდ განზოგადების ხარისხი.
- დ) ახალი ტენდენციების გამოკვეთის აუცილებლობა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 6

დაკვირვება მოსწავლეების შესაძლებლობების გაცნობის, მათი განვითარების დინამიკის მონიტორინგისა და, შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების ეფექტიანი ინსტრუმენტი.

დაკვირვების მეთოდის გამოყენების დროს რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი?

- I. არ არის აუცილებელი, წინასწარ გქონდეთ განსაზღვრული, მოსწავლის ქცევის რომელ ასპექტს დააკვირდებით.
 - II. დააკვირდით მოსწავლეს სხვადასხვა გაკვეთილზე იმისათვის, რომ განსაზღვროთ მისი ქცევის კანონზომიერებანი.
 - III. წინასწარ ნუ აცნობებთ მოსწავლეებს, რას დააკვირდებით, რადგან ამან შეიძლება დააბრკოლოს მათი ქცევა.
- ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 7

ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის კიბერბულინგის შემთხვევა?

- ა) ინტერნეტსივრცეში ფოტოების ან „სკრინშოტების“ გაზიარება, რაც შეიძლება შეურაცხმყოფელი ან სამარცხვინო იყოს ვინმესთვის.
- ბ) ინტერნეტსივრცეში ვინმეს შესახებ საზიანო, ყალბი ინფორმაციის ან კონტენტის გაგზავნა, გაზიარება ან გამოქვეყნება.
- გ) ინტერნეტსივრცეში ნებისმიერი მკაცრი კრიტიკული გამოხმაურება, უარყოფითი აზრის გამოთქმა თუ ნეგატიური კომენტარი.
- დ) ინტერნეტსივრცეში პერსონალური ინფორმაციის გაზიარება ვინმეს შეურაცხყოფის ან რეპუტაციის შელახვის მიზნით.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 8

მოსწავლეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის გარეშე რთულია სასწავლო პროცესის შედეგიანად წარმართვა. შესაბამისად, პედაგოგი კარგად უნდა იცნობდეს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე.

ჩამოთვლილთაგან რომელია კომუნიკაციის მეტავერბალური კომპონენტის ეფექტიანი გამოყენების მაგალითი/მაგალითები?

- I. მასწავლებელი მოსწავლეებთან კომუნიკაციის დროს გადასაცემი ინფორმაციის შესაბამისად ცვლის არტიკულაციას, ჟესტებს, მიმიკას.
 - II. მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი და მასში ნაგულისხმევი აზრი ერთნაირად ესმით მოსწავლეებს.
 - III. მასწავლებელი კომუნიკაციის დროს მეტი დამაჯერებლობისათვის შესაბამისად ცვლის ხმის ტონს, სიმაღლესა და ტემბრს.
- ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 9

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინება არ არის მნიშვნელოვანი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს?

- ა) პრობლემის გადასაჭრელად მოსწავლე უნდა იყენებდეს ნაცნობ სტრატეგიას, რათა შეძლოს პრობლემური სიტუაციისათვის მისი მორგება.
- ბ) პრობლემა უნდა აღძრავდეს ინტერესს, რათა მოსწავლეებს გაუჩნდეთ მასთან შეჭიდების სურვილი და მთელი ძალისხმევა მიმართონ მის გადასაჭრელად.
- გ) პრობლემის გადაჭრაზე პასუხისმგებლობა მოსწავლემ თავის თავზე უნდა აიღოს, მასწავლებელმა კი ამ პროცესს ფასილიტაცია გაუწიოს.
- დ) პრობლემური საკითხი უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის უნარებს, მის გამოცდილებას და ასაკით განპირობებულ კოგნიტურ შესაძლებლობებს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 10

საგნობრივი ცოდნის გარდა, განათლება მოსწავლეებში კონკრეტულ უნარებსაც უნდა ავითარებდეს და ამ უნარებს შორის წამყვანი ადგილი სწორედ კრიტიკულ აზროვნებას უჭირავს.

ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის კრიტიკული აზროვნების მახასიათებელი?

- ა) მეტი ინფორმაციის მიღებისა და მტკიცებულებების მოძიების სურვილი.
- ბ) იმის აღიარება, რომ სხვისი მოსაზრებები უკეთ არის არგუმენტირებული.
- გ) ჯანსაღი დამოკიდებულება ახალი ინფორმაციის გადამოწმებასთან დაკავშირებით.
- დ) პოზიციის სიმყარე სხვისი მოსაზრებების დამაჯერებელი არგუმენტაციის საპასუხოდ.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 11

ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში იქნება ყველაზე უფრო ვალიდური მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასება მხოლოდ შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შედეგების მიხედვით?

- ა) თუ შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები მოიცავს თემის ფარგლებში მოსწავლის აქტივობის კომპონენტსაც.
- ბ) თუ შემაჯამებელი კომპლექსური დავალება გვაძლევს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.
- გ) თუ შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შეფასება თანხვედბა კონკრეტული მოსწავლის თვითშეფასებას.
- დ) თუ შემაჯამებელი კომპლექსური დავალება ავლენს მოსწავლის დეკლარატიული ცოდნის მაღალ ხარისხს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 12

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, „დაუშვებელია, რომ საჯარო სკოლამ დააწესოს ბარიერები და მიიღოს მხოლოდ სასკოლო მზაობით გამორჩეული ან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები“.

ეს პუნქტი არ მოქმედებს, თუ:

- ა) სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში.
- ბ) სკოლას აქვს საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსი.
- გ) სკოლა საკმაოდ დიდკონტინგენტიანია.
- დ) სკოლა გამორჩეულია მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებით.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 13

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეების ინკლუზიას საჯარო სკოლებში. თუმცა ინკლუზიური განათლების ეფექტიან დანერგვას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ხშირად მისი არსი არასწორად არის გაგებული.

ინკლუზიური განათლება ნიშნავს:

- ა) გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების განათლებას.
- ბ) შეზღუდული ფიზიკური უნარების მქონე მოსწავლეების განათლებას.
- გ) ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეების განათლებას.
- დ) ნებისმიერი მოსწავლის ერთობლივ განათლებას.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 14

დებატები არის რაიმე საკითხის საჯარო განხილვა, კამათი და პაექრობა, რომელიც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას.

ჩამოთვლილთაგან დებატების შესახებ გამოთქმული რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული?

- I. დებატები გვეხმარება, დავრწმუნდეთ საკითხის ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებების არსებობაში.
- II. დებატები გვეხმარება იმაში, რომ გავაანალიზოთ სადავო საკითხის დადებითი და უარყოფითი მხარეები.
- III. დებატები გვეხმარება კონკრეტული სიტუაციიდან ერთადერთი სწორი გამოსავლის მოძებნასა და დასაბუთებაში.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 15

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სასწავლო პროცესის აკომოდაციის ადეკვატური საშუალება, თუკი სამედიცინო დასკვნისა და მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე, სსსმ მოსწავლეს მხოლოდ ნატიფი მოტორიკის პრობლემა აქვს?

- ა) საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სასწავლო მიზნების ცვლილება.
- ბ) საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სასწავლო შინაარსის ცვლილება.
- გ) სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული სამუშაოებისათვის დროისა და გრაფიკის ცვლილება.
- დ) სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული სტანდარტებით განსაზღვრული ცნებების შემცირება.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 16

ცოდნის გენერალიზების უნარის ჩამოყალიბებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ა) კონკრეტული უნარებისა და ცოდნის დაუფლებისას მათი დაკავშირება მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან.
- ბ) მოსწავლისათვის სტაბილური გარემოს შექმნა, სადაც ის დასწავლილ ქცევებსა და ცოდნას ხშირად გამოიყენებს.
- გ) მოსწავლისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება, მისთვის უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა.
- დ) კონკრეტული მიზნების მისაღწევად მოსწავლისათვის შეძენილი ცოდნის მნიშვნელოვნების ჩვენება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 17

ჩამოთვლილთაგან რომელია პრობლემის გადაჭრის ციკლის მართებული თანმიმდევრობა?

- ა) პრობლემის ჩამოყალიბება და წარდგენა, პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შეფასება, პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების მოძიება.
- ბ) პრობლემის იდენტიფიცირება, პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების მოძიება, შერჩეული გზის შესრულება და პროგრესზე დაკვირვება.
- გ) პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების მობილიზება-ორგანიზება, შედეგების შემოწმება და შეფასება, შერჩეული გზის შესრულება.
- დ) პრობლემის იდენტიფიცირება, პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შეფასება და მათგან რომელიმეს შერჩევა, პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების მობილიზება.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 18

განათლების ფსიქოლოგიაში სიბეჯითეს განსაზღვრავენ, როგორც სამუშაოს პროდუქტიული შესრულების მცდელობას და მას მიიჩნევენ მოსწავლის წარმატების აუცილებელ პირობად.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინებაა ყველაზე მართებული სიბეჯითის წასახალისებლად?

- I. დააჯილდოვებ ყველაზე შრომისმოყვარე მოსწავლეები და ისინი, რომლებმაც გააუმჯობესეს საკუთარი შედეგები.
- II. შეინახეთ მოსწავლეთა ადრინდელი ნამუშევრები, რათა მათ საკუთარ პროგრესს თავადვე მიაღწეონ თვალი.
- III. მიეცით მოსწავლეებს რთული დავალებები, რათა მათზე გაწეული ძალისხმევის შედეგად გამოუმუშავდეთ სიბეჯითე.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 19

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დროს ხშირად იყენებენ ფოკუს-ჯგუფის მეთოდს.

ჩამოთვლილთაგან რომელია ფოკუს-ჯგუფის მეთოდის არსებითი უპირატესობა/უპირატესობები?

- I. ეს მეთოდი საკვლევი საკითხის ახალი ასპექტებისა და თემის სხვა რაკურსით დანახვის შესაძლებლობას იძლევა.
- II. ეს მეთოდი მკვლევარს საშუალებას აძლევს, დარწმუნდეს, ემთხვევა თუ არა მონაწილეთა აზრი მის მოსაზრებებს.
- III. ამ მეთოდის გამოყენება ეხმარება მკვლევარს, თვალი ადევნოს მონაწილეთა მოსაზრებების ჩამოყალიბების პროცესს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 20

ჩამოთვლილთაგან რომელი დავალებაა ორიენტირებული ერთდროულად ცოდნის სამივე კატეგორიაზე - დეკლარატიულზე, პროცედურულსა და პირობისეულზე?

- ა) „ტექსტი გააანალიზე სამსვეტიანი სქემის მიხედვით: ვის რა პოზიცია ჰქონდა, რა კონფლიქტი წარმოიშვა და როგორ გადაწყდა ის“.
- ბ) „გამოიყენე ტექსტში მოცემული მინიშნებები, შეარჩიე პერსონაჟი და წარმოიდგინე მისი ცხოვრება ნაწარმოებში გამოჩენამდე“.
- გ) „მოცემული ტექსტის მიხედვით შეავსე კოგნიტური სქემა „მოვლენათა ჯაჭვი“ და მასზე დაყრდნობით გადმოეცი შინაარსი“.
- დ) „ტექსტიდან ამოღებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვის ადგილას ჩაწერე სავარაუდო ვარიანტები“.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 21

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის ყველაზე ეფექტიანი სტრატეგიაა:

- ა) მასწავლებელი საკუთარ მიღწევებს ადარებს კოლეგებისას და ამის საფუძველზე გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.
- ბ) მასწავლებელს ხშირი კონტაქტი აქვს მოსწავლეების მშობლებთან და მათი უკუკავშირის საფუძველზე ადგენს საკუთარ საჭიროებებს.
- გ) მასწავლებელი კრიტიკულად ანალიზებს საკუთარ პრაქტიკას და თვითრეფლექსიის საფუძველზე გეგმავს პროფესიულ განვითარებას.
- დ) მასწავლებელი ხშირად ესწრება პედაგოგებისთვის ჩატარებულ ტრენინგებს, რომლებიც მათ პროფესიულ განვითარებას ისახავს მიზნად.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 22

მოსწავლეებისათვის სასკოლო გარემოს გარდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნულ ურთიერთობებს ზრდასრულებთან და საზოგადოებრივ მხარდაჭერას. სწავლის ხელშემწყობი საზოგადოების შექმნა სკოლის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინება შეუწყობს ხელს სწავლის მხარდამჭერი საზოგადოების შექმნას?

- I. პირისპირ ესაუბრეთ ოჯახის წევრებს მოსწავლის პრობლემების შესახებ ან გაუგზავნეთ შეტყობინებები, რათა დაარწმუნოთ ისინი, რომ მათი შვილების სწავლის შედეგების გაუმჯობესება თქვენთვის მნიშვნელოვანია.
- II. ჩართეთ მოსწავლის ოჯახის წევრები სწავლების კურსის (სასკოლო კურიკულუმის) შედგენაში, ესაუბრეთ დაგეგმილი აქტივობების შესახებ, მოისმინეთ მათი იდეები, რათა იგრძნონ პასუხისმგებლობა და გაუჩნდეთ თანამონაწილეობის განცდა.
- III. შესთავაზეთ მშობლებს სემინარები, ვიდეოჩანაწერები, ლექციები, ოჯახთან დაკავშირებული ლიტერატურა და სხვა საინფორმაციო პროგრამები, რაც დაეხმარება მათ აღზრდასთან დაკავშირებული სიტუაციებიდან გამოსავლის პოვნაში.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთჯულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 23

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

ცხრილის A სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები, ხოლო B სვეტში - მდგრადი განვითარების მიზნები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

აქტივობა (A)	მდგრადი განვითარების მიზანი (B)
I. მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა, განეხორციელებინათ ჯგუფური პროექტი „ხანგრძლივი სიცოცხლის უპირატესობა.“	

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

<p>II. მასწავლებელმა სკოლაში ჩაატარა გაეროს მსოფლიო ახალგაზრდობის უნარების დღის აღსანიშნავი ღონისძიება.</p>	<p>ა) სიღარიბის აღმოფხვრა</p>
<p>III. მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა, აერჩიათ მათთვის სასურველი ქვეყანა და მოემზადებინათ პრეზენტაცია თემაზე: „სოციალური კეთილდღეობის დაცვის სისტემები ქვეყანაში.“</p>	<p>ბ) მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა</p> <p>გ) ხარისხიანი განათლება</p>
<p>IV. ბიოლოგიის მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა, მოემზადებინათ რეფერატები თემაზე: „მცენარეთა და ცხოველთა, განსაკუთრებით ველური სახეობების ბიომრავალფეროვნება“.</p>	<p>დ) ჯანმრთელობა და კეთილდღეობა</p> <p>ე) დედამიწის ეკოსისტემები</p>

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

დავალება N 24

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

თანამედროვე სკოლის პრიორიტეტულ ამოცანებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის სოციალური და ემოციური განვითარება.

ცხრილის A სვეტში მოცემულია მოსწავლის სოციალური და ემოციური კომპეტენციების მახასიათებლები, B სვეტში კი - კომპეტენციები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

მახასიათებლები (A)	კომპეტენცია (B)
I. პირადი მიზნებისა და ღირებულებების, საკუთარი ძლიერი მხარეებისა და სისუსტეების გაცნობიერება, იმის გააზრება, თუ როგორ არის ურთიერთდაკავშირებული აზრები, გრძნობები და ემოციები.	

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

<p>II. განსხვავებული გამოცდილებისა თუ კულტურის მქონე ადამიანების შეხედულებების მიღება, ემპათია, მიღებული ნორმებისა და ქცევების გააზრება, ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების შეცნობა და მხარდაჭერა.</p>	<p>ა) თვითმართვა</p>
<p>III. ემოციებისა და ქცევების რეგულირება, სტრესის მართვა და იმის ნებისყოფა, რომ განახორციელო ცვლილებები პირადი თუ საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.</p>	<p>ბ) სოციალური ცნობიერება</p>
<p>IV. არჩევანის გაკეთების დროს ეთიკური სტანდარტების, საკუთარი და სხვების უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გათვალისწინება.</p>	<p>გ) პასუხისმგებლობაზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღება</p>

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

- 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ: თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

სწავლების პროცესში მასწავლებლები ხშირად მიმართავენ ინტერაქტიულ სწავლებას. ასეთ დროს მასწავლებელმა აუცილებელია, კლასში შექმნას კეთილგანწყობილი გარემო და წინასწარ მოამზადოს მოსწავლეები, როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით. „ღია წრე“ არის ერთ-ერთი სტრატეგია, რომელიც ხშირად გამოიყენება ინტერაქტიული სწავლების დროს.

- დაასახელეთ ამ სტრატეგიის გამოყენების ორი დადებითი შედეგი.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი თითოეული დადებითი შედეგისათვის.

*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

„– თქვენი აზრით, კომიქსები რა არის?

– მე მარველის კომიქსები მაქვს, – წამოიძახა ანდრიამ.

– ადამიანი-ობობაც კომიქსია, ხომ? – ჩაერთო ნიკა.

– კი, ნამდვილად!

– ჰალკი, – გამახსენდა მეც.

– ჰალკიც!

– ჩემს ძმას ბეტმენის ფორმა აჩუქეს, – დაამატა ნინომაც.

– არ შეგიძლია, ბიჭების ლაპარაკში არ ჩაერთო? – მიუბრუნდა თემო, – კომიქსები რა გოგოების საქმეა“.

(„სული-ჩიტი“ თამარ გეგეშიძე)

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

- დაასახელეთ მოცემულ დიალოგში ასახული პრობლემა და მისი თანმდევი უარყოფითი შედეგი.
- შეიმუშავეთ რეკომენდაცია, რომელიც დაგეხმარებათ თქვენ მიერ დასახელებული პრობლემის გადაჭრაში.

*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

პანდემიის პირობებში დისტანციური განათლების მოდელზე სრულად გადასვლამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სასწავლო პროცესში. კვლევებით დადასტურდა, რომ, ტრადიციული განათლების მსგავსად, დისტანციურ სწავლებასაც ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დისტანციური სწავლების ერთ-ერთი უარყოფითი შედეგია მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის შემცირება.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს, აუმაღლოს მოსწავლეებს სწავლის მოტივაცია დისტანციური სწავლების დროს.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

<u>1</u>	<u>2</u>	<u>3</u>	<u>4</u>	<u>5</u>	<u>6</u>	<u>7</u>	<u>8</u>	<u>9</u>	<u>10</u>	<u>11</u>	<u>12</u>	<u>13</u>	<u>14</u>	<u>15</u>	<u>16</u>	<u>17</u>	<u>18</u>	<u>19</u>	<u>20</u>	<u>21</u>	<u>22</u>
<u>23</u>	<u>23a</u>	<u>24</u>	<u>24a</u>	<u>25</u>	<u>26</u>	<u>26a</u>	<u>27</u>	<u>28</u>	<u>29</u>	<u>29a</u>	<u>30</u>	<u>30a</u>	<u>30b</u>	<u>31</u>	<u>31a</u>	<u>31b</u>	<u>32</u>	<u>32a</u>			

„არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.“

(ბავშვის უფლებათა კონვენცია. მე-16 მუხლი)

- როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, თუ მის კლასში არის შემთხვევა, როდესაც მოსწავლე ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტია.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

სიტუაციის ანალიზი

ANNA
GAVALDA
35 KILOS
DE ESPERANZA



„– გრეგუარ დიუბოსკი, – წარმოთქვა მან ისე, რომ ცხვირი არ ამოუყვია საკლასო ჟურნალიდან.

წინ ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ყურში მაშინვე ბავშვების ქირქილი ჩამესმა.

ამჯერად ისინი ჩემს უცოდინრობაზე კი არა, სიარულის მანერაზე იცინოდნენ. იმ დღეს სპორტული ფორმა სახლში დამრჩა, თან ამ სემესტრში მესამედ და ტანსაცმელი ბენჟამენის ძმისგან ვითხოვე, რომ არ დავსჯილიყავი და გაკვეთილების შემდეგ არ დავეტოვებინე (წელს უკვე იმდენჯერ ვარ ამ მეთოდით დასჯილი, ზოგი მთელი ცხოვრების მანძილზე რომ ვერ ასწრებს). სამწუხაროდ, ბენჟამენის ძმა მწვანე გიგანტის კლონი აღმოჩნდა, ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორ ვცურავდი ამ XXL ზომის ტანსაცმელში და 45 ზომის სპორტულ ფეხსაცმელში, რომელიც ნამდვილად არ მიჭერდა.

– ეს რა ჯანდაბა ჩაგიცვამს? – „დედაშვილური მზრუნველობა“ ჩანდა მაღამ ბერლურონის ღრიალში.

– ფეხები მიადგით და წინ ორჯერ გადატრიალდით.

- [1](#)
- [2](#)
- [3](#)
- [4](#)
- [5](#)
- [6](#)
- [7](#)
- [8](#)
- [9](#)
- [10](#)
- [11](#)
- [12](#)
- [13](#)
- [14](#)
- [15](#)
- [16](#)
- [17](#)
- [18](#)
- [19](#)
- [20](#)
- [21](#)
- [22](#)
- [23](#)
- [23a](#)
- [24](#)
- [24a](#)
- [25](#)
- [26](#)
- [26a](#)
- [27](#)
- [28](#)
- [29](#)
- [29a](#)
- [30](#)
- [30a](#)
- [30b](#)
- [31](#)
- [31a](#)
- [31b](#)
- [32](#)
- [32a](#)

პირველი ყირა კატასტროფულად ცუდად გამოივიდა და ცალი ფეხსაცმელიც გამძვრა. გავიგონე, როგორ დამცინეს კლასელებმა და მათი გულის გასახარად, მეორე ფეხსაცმელიც მოვიშორე. პირდაპირ ჭერში ვისროლე. ბავშვები კი სიცილით იხოცებოდნენ. ამჯერად ეს არ იყო ბოროტი სიცილი, ეს იყო ისეთი გულიანი ხარხარი, როგორიც მხოლოდ ცირკში შეიძლება წაგსკდეს.

იმდღევანდელი ამბის გამო, სკოლიდანაც გამომავდეს, მაგრამ ამას საერთოდ არ ვნანობ. ამის წყალობით, სკოლაში ყოფნის პერიოდში პირველად ვიგრძენი თავი გამოსადეგად.“

(„35 კილო იმედი“ ანა გავალდა)

- აღმოაჩინეთ მასწავლებლის მიერ დაშვებული ორი შეცდომა.
- განმარტეთ, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს თითოეულ მათგანს.
- შეიმუშავეთ რეკომენდაცია და ახსენით, როგორ დაეხმარება ის მასწავლებელს თქვენ მიერ დასახელებული თითოეული შეცდომის აღმოფხვრაში.

*პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

გაკვეთილზე დაკვირვება

სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მასწავლებელთა ურთიერთანამშრომლობის ერთ-ერთი ეფექტიანი სტრატეგიის - „კრიტიკული მეგობრის“ დანერგვა. პროექტის ფარგლებში კოლეგები ერთმანეთის გაკვეთილებს ესწრებოდნენ, აფასებდნენ და შეიმუშავებდნენ რეკომენდაციებს.

გთავაზობთ ერთ-ერთი პედაგოგის მიერ კოლეგის გაკვეთილზე დაკვირვების საფუძველზე შექმნილ დოკუმენტს.

გაკვეთილის აღწერა																			
გაკვეთილის დასაწყისში საკლასო ოთახში შემოსული მოსწავლეების ყურადღება ფოთლებით დაფარულმა მაგნიტურმა დაფამ მიიპყრო. მასწავლებელმა შეამჩნია მათი ინტერესი და კლასს კითხვით მიმართა:																			
– ბავშვებო, აბა გამოიცანით, რა თემაზე გვექნება დღეს საუბარი? - ბავშვებმა დაასახელეს რამდენიმე ვერსია, საბოლოოდ კი „შემოდგომაზე“ შეჯერდნენ. მასწავლებელმა მოსწავლეებს დაფაზე კოგნიტური დიაგრამა დაუხაზა და ჰკითხა:																			

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

– რა ცვლილებებს ამჩნევთ გარემოში შემოდგომით? - მოსწავლეები კოგნიტურ დიაგრამას რიგ-რიგობით ამატებდნენ თავიანთ პასუხებს.

– ეს ცვლილებები ცოცხალ ბუნებას ეტყობა თუ არაცოცხალს? მოიყვანეთ მაგალითები.

მოსწავლეები უშვებდნენ შეცდომებს, მასწავლებელი მაშინვე უსწორებდა და ეუბნებოდა სწორ პასუხს.

მოსწავლეები ზოგჯერ პასუხებს ხელის აწევის გარეშე წამოიძახებდნენ, მასწავლებელი ასეთ შემთხვევაში მათ მიუთითებდა დაფაზე გაკრული ქცევის წესების ერთ-ერთ პუნქტზე: „არ წამოიძახოთ პასუხი ადგილიდან!“ თუმცა, თუ პასუხი სწორი იყო, მაინც აქებდა მათ.

მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს, ფოთლების გროვაში მოეძებნათ ორი ერთნაირი ფოთოლი, ბავშვებმა ვერ აღმოაჩინეს. მასწავლებელმა აუხსნა მათ, რომ ბუნებაში ყველაფერი უნიკალურია და ორი ერთნაირი არაფერია.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს პასტელები დაურიგა და სთხოვა, დაეხატათ ნახატი სახელწოდებით „შემოდგომა“.

– ნახატი შეიძლება ყველას ლამაზი არ გამოგივიდეთ, მთავარია, ასახოთ ერთი სიახლე, რაც დღეს გაიგეთ.

მასწავლებელმა მოსწავლეების ნამუშევრები შეაგროვა და კარგად შესრულებულ ნახატებს ღიმილიანი სტიკერები დააკრა.

(დავალებაში გამოყენებულია რამდენიმე ფრაგმენტი ინტერნეტსივრცეში მასწავლებელთა მიერ განთავსებული გაკვეთილებიდან)

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

წარმოდგენილ აღწერაზე დაყრდნობით შეაფასეთ ჩატარებული გაკვეთილი. დავალება შეასრულეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- გააანალიზეთ ჩატარებული გაკვეთილის ორი დადებითი მხარე.
- გააანალიზეთ ჩატარებული გაკვეთილის ორი უარყოფითი მხარე.
- შეიმუშავეთ რეკომენდაციები და ახსენით, როგორ დაეხმარება ისინი მასწავლებელს თითოეული ხარვეზის აღმოფხვრაში.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

მონაცემთა ანალიზი

თანამედროვე განათლების სისტემა სწავლა-სწავლების პროცესს ციფრულ წიგნიერებასთან მჭიდრო ინტეგრირებით მოიაზრებს. მასწავლებელმა ჩაატარა კვლევა, რომლის საშუალებითაც სურდა გაერკვია, ძირითადად, რა მიზნით იყენებენ მისი სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები ციფრულ ტექნოლოგიებს. ანკეტირებით მიღებული შედეგები დიაგრამაზე ასე გადანაწილდა:

- [1](#)
- [2](#)
- [3](#)
- [4](#)
- [5](#)
- [6](#)
- [7](#)
- [8](#)
- [9](#)
- [10](#)
- [11](#)
- [12](#)
- [13](#)
- [14](#)
- [15](#)
- [16](#)
- [17](#)
- [18](#)
- [19](#)
- [20](#)
- [21](#)
- [22](#)
- [23](#)
- [23a](#)
- [24](#)
- [24a](#)
- [25](#)
- [26](#)
- [26a](#)
- [27](#)
- [28](#)
- [29](#)
- [29a](#)
- [30](#)
- [30a](#)
- [30b](#)
- [31](#)
- [31a](#)
- [31b](#)
- [32](#)
- [32a](#)

ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობის მიზანი



- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

გაანალიზეთ დიაგრამაზე ასახული მონაცემები:

- წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით გამოკვეთეთ საკითხი და გამოიტანეთ დასკვნა.
- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს თქვენ მიერ დასკვნაში ხაზგასმულ საკითხზე მუშაობაში.
- დაასაბუთეთ, როგორ შეუწყობს ის ხელს სწავლის ეფექტიანობას.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

ფუნქციური წერა

ინსტრუქცია: *სათქმელი ჩამოაყალიბეთ ნათლად და გასაგებად. მკაფიოდ წარმოაჩინეთ პრობლემის არსი და დამაჯერებლად დაასაბუთეთ საკუთარი მოთხოვნა. გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომელიც 140 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება ენობრივი კრიტერიუმების მიხედვით. ნებისმიერი სახელისა და გვარის, ან თარიღის მითითების შემთხვევაში დავალება არ გასწორდება! თუ გადაწყვეტთ თარიღის მითითებას, ის აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს თქვენი გამოცდის თარიღს.*

დავალების პირობა:

სკოლაში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანიც იყო ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი უფროსკლასელების დამოკიდებულების დადგენა. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ უფროსკლასელების უმეტესობას გაცნობიერებული აქვს ჯანსაღი ცხოვრების წესის აუცილებლობა, თუმცა, თავად ნაკლებად მისდევს მას. თქვენ ამ სკოლის პედაგოგი ხართ. დირექციამ დაგავალათ, დაგეგმოთ ღონისძიება, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ. ღონისძიების დაფინანსებას სკოლა სრულად ვერ უზრუნველყოფს, ამიტომ საჭიროა, მიმართოთ დონორ ორგანიზაციას, რომელსაც სკოლებთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვს.

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#)
[23](#) [23a](#) [24](#) [24a](#) [25](#) [26](#) [26a](#) [27](#) [28](#) [29](#) [29a](#) [30](#) [30a](#) [30b](#) [31](#) [31a](#) [31b](#) [32](#) [32a](#)

- ოფიციალური წერილით მიმართეთ ზემოხსენებულ ორგანიზაციას ფინანსური მხარდაჭერისათვის და დაუსაბუთეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ ღონისძიების ჩატარება.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
23 23a 24 24a 25 26 26a 27 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a